საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

**0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge**
**8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32**

KA020154414918622

№ **04/448**

**28 / აპრილი / 2022 წ.**

შპს „გეო ენერჯი“-ს (ს/ნ 405323001)
დირექტორს, გიორგი ხარატის

მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის N3,
ბლოკი ბ, ბინა N48

ბატონო გიორგი,

სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ გასაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულების და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების პროცესი ხორციელდება „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილებით.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისთვის თქვენს მიერ დამატებით წარმოსადგენია, ზემოხსენებული დადგენილების 30-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დაკომპლექტებული დოკუმენტაცია:

- განაცხადი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის კვლევის და არქეოლოგიული კვლევის შედეგებზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი;

- ამავე დადგენილების 25-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი, საინფორმაციო დაფის თვალსაჩინო ადგილას განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი.

განცხადებას, ასევე უნდა დაერთოს ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

გთხოვთ, 20 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოში განსახილველად წარმოადგინოთ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

I სტადია (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სსიპ ტექნიკური და
სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს

მოქალაქის (ან ორგანიზაციის) შ.პ.ს „ჯეო-ენერჯი" (ს/კ 405323001)
*სახელი და გვარი / დასახელება*

მისამართი: ქ. [illegible] №3.

საკონტაქტო ტელ.: 599210479

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების შესაბამისად დამიმტკიცოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ობიექტის დასახელება, მისამართი: ქ. [illegible] №68ა 01.18.13.033.139. [illegible]

*განმცხადებელი:*

*ხელმოწერა*

*თარიღი* „13" „ივნისი" 2022წ.

დანართი:

☐ ეგზემპლიარების რაოდენობა – 3

1. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000).

2. განმცხადებლის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
მიღებულია
გაცემულია № 1647-22
„13" 06 20 22 წ.

3. წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რწმუნებულება.

4. მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში აეროფოტოგადაღება).

5. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის კვლევის შედეგები.

6. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – არქეოლოგიული კვლევის შედეგები (გარდა ამ დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შენობებზე შემდეგი მახასიათებლებით – განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით, K-2-ით განსაზღვრული ან იმ ზონაში, სადაც K-2 არ განისაზღვრება – სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 6 000 მ2-მდე ფართობის, 22 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 4 მ-ზე მეტი ჩაღრმავების).

7. თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი.

8. მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების გეგმა.

9. მიწის ნაკვეთის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა.

10. ამ დადგენილების 28-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ.

11. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მიზნით წარდგენილ განცხადებას, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად ასევე უნდა დაერთოს ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

*დოკ. №: 2204-241 ▪ თარიღი: 13.04.2022*

DEMASO WOOD LTD

## ***საექსპერტო დასკვნა***

### ***ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არსებობის შესახებ***

*მისამართი:* ***ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №68ა, (ნაკვ. 33/7)***

*ს/კ:* ***01.18.13.033.139*** ▪ *მესაკუთრე:* ***შპს "გეო ენერჯი"***

*ფართობი:* ***18000 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***0***

***დამკვეთი: .....................................................***

**<u>დასკვნა</u>**

2022 წლის 7 აპრილს, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის №68ა, (ნაკვ. 33/7) მისამართზე რეგისტრირებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული, ს/კ 01.18.13.033.139 მიწის ნაკვეთის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ:

**ს/კ 01.18.13.033.139 მიწის ნაკვეთზე, მერქნიანი მცენარეები არ მდებარეობს.**

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

***ტერიტორიის ფოტო***




*შემსრულებელი:*

***შპს დემასო ვუდ (405086419)***

*დირექტორი:* ***ემზარ შარია***

*demasowood@gmail.com*

*(+995) 593 18 18 70*

# ბანერი



## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
**National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia**

KA990117967108822

**№17/900** **13 / მაისი / 2022 წ.**

შპს „გეო ენერჯი"-ს (ს/კ 405323001)
დირექტორს, ბატონ გიორგი ხარატს
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. #3
ტელ: 599270479
ელფოსტა: b.kharati@yahoo.com

ბატონო გიორგი,

თქვენი 2022 წლის 10 მაისის #2093 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის (N68ა, ნაკვ.33/7) მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯი"-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.18.033.139, 18000 კვ.მ.) ფეროშენადნობის ქარხნის მშენებლობას და საპროექტო არეალში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ხილული ძეგლი/ობიექტი ან/და არტეფაქტები არ დასტურდება.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ დაგეგმილი მიწის ფართომასშტაბიანი სამუშაოები, საფრთხეს არ უქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებ/ობიექტებს.**

აღსანიშნავია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად - „თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არა უგვიანეს 7 დღისა".

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — პაატა გაფრინდაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

**0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge**
**8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32**

KA020173294300022

№ **04/503** **16 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

სააგენტოში შემოსულია, შპს „გეო ენერჯი“-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 30-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პირობები და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ელ. ვერსია.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

**0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge**
**8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32**

KA020147452725222

№ **04/501** **16 / მაისი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

სააგენტოში შემოსულია, შპს „გეო ენერჯი“-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 30-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პირობები და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ელ.ვერსია.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

**0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge**
**8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32**

KA020168634715522

№ **04/500** **16 / მაისი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის
უფროსს, ბატონ გიგა გიგაშვილს

ბატონო გიგა,

სააგენტოში შემოსულია, შპს ,,გეო ენერჯი"-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

,,განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად და 30-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პირობები და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ელ.ვერსია.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020122437398522

№ **04/502**

**16 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სსდ -საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის ზედამხედველობის
დეპარტამენტის უფროსს,
ბატონ როინ ვარშანიძეს

ბატონო როინ,

სააგენტოში შემოსულია, შპს „გეო ენერჯი“-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 30-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პირობები და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გიორგი გეჯაძე

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

საქართველო
GEORGIA

N 5861/01
10/06/2022

5861-01-2-202206101606

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ **გიორგი გეჯაძეს**

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილის (#04/503 16.05.2022) პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) მდებარე შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #21/1830 19.05.2022) წარმოდგენილი ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება მდინარე ცივიხევი სიგრძით 7 კმ. ფართობზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყალდაცვითი ზოლი, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ” საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების თანახმად: ქალაქებში, დაბებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლის დადგენა ხორციელდება გენერალური გეგმების შესაბამისად, რომლებშიც გადაწყვეტილია გარემოს დაცვის ყველა საინჟინრო, სანიტარიული და ჰიგიენური საკითხი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის მე-5 პუნქტის თანახმად, თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

წერილის ნომერი: **18-01221573647**
თარიღი: **06/06/2022**

**ადრესატი:** სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
**მისამართი:** .

| ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| წერილის ნომერი: | N04/500 |
| წერილის თარიღი: | 16 აპრილი, 2022 |
| განმცხადებელი: | სსიპ ,,ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს" უფროსი გიორგი გეჯაძე |
| მისამართი | ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N68ა (ნაკვ. 33/7) |
| საკადასტრო კოდ(ებ)ი: | 01.18.13.033.139 |
| ფუნქციური დანიშნულება; კლასი: | შავი ლითონის (ფეროშენადნობი) საწარმო |
| ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი: | სამსახურის პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით |
| მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები) | შპს ,,გეო ენერჯი" |
| მწვანე ნარგავ(ებ)ის სახეობა, რაოდენობა | მცენარეები არ ფიქსირდება |
| არსებული ფუნქციური ზონა(ები): | სამრეწველო ზონა 1 (ს-1)<br><br>სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მცირე ნაწილზე ვრცელდება |
| არსებული შეზღუდვები | ---- |
| წარმოდგენილი დოკუმენტაცია | საპროექტო დოკუმენტაცია |
| **დასკვნა:** დადებითი | |

**სამართლებრივი დასაბუთება**

**სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით:** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, **მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი;** საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №257 დამტკიცებული წესის ,,განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მე-17 მუხლის პირველი პუნქტის **,,ი" ქვეპუნქტი;** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით №28-94 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების" მე-2 მუხლის

პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტი.

**სამსახურის პოზიცია**

ვინაიდან წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნით, ფოტომასალით არ დასტურდება ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არსებობა, ***სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.***

გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სავარაუდოდ თვითნებურად/უნებართვოდ მოჭრილია ნარგავები. ქ. თბილისის ინტერაქტიული რუკის tas.ge მეშვეობით ვადგენთ, რომ ტერიტორიაზე გარკვეული რაოდენობის მწვანე ნარგავები ფიქსირდება, ხოლო წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის მიხედვით კი ტერიტორიაზე მცენარეები არ (აღარ) არის.

აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოჭრის შესახებ წერილობითი ნებართვა სამსახურს არ გაუცია.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამსახურმა, მწვანე ნარგავების სავარაუდო დაზიანება/განადგურების ფაქტთან დაკავშირებით მასალები შესასწავლად გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში.

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება**

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01221443849**
თარიღი: **24/05/2022**

**ადრესატი:** სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
**მისამართი:** .

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შემოსულ თქვენს 2022 წლის 16 მაისის №04/501 წერილზე (სამსახურში რეგისტრაციის № 06-01221363955-01; 16.05.2022წ.), რომლითაც აღნიშნავთ, რომ თქვენთან მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე და ითხოვთ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.18.13.033.139), რომელზეც გათვალისწინებულია შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს განთავსება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N 39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის - რუკის“ მიხედვით, მდებარეობს სამრეწველო ზონა - 1 (ს-1)-ის არეალში. აღნიშნული ზონა კი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N 14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,უ’’ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს სამრეწველო ქვეზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/ სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით გასცეთ ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, იმ შემთხვევაში, თუ შპს ,,გეო ენერჯი“-ს მიერ განსათავსებელი ობიექტი არ წარმოადგენს ისეთ ობიექტს, რომელშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.

თეიმურაზ ბოლოთაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 3 22 01339918

შემავალი

20/05/2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ **გიორგი გეჯაძეს**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2022 წლის 16 მაისის №04/502 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68"ა"-ში (ს/კ 01.18.13.033.139 ) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსასხმელი საწარმოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020124514604522

№ **98-04** **15 / ივნისი / 2022 წ.**

## ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში, ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139), ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (დანართი №1).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1. შპს „გეო ენერჯი“-ს 2022 წლის 26 აპრილის N667 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

დამართი№ 1

,,დამტკიცებულია
სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის

,,15" ,,06" 2022 წლის

№98-04 ბრძანებით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

**ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში, ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**

თბილისი 2022 წელი

# მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

დამკვეთი/მენაშენე: შპს ,,გეო ენერჯი"
საპროექტო ობიექტი: ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმო
ობიექტის მისამართი: ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა

მიწის ნაკვეთის აღწერა:

| | | |
|---|---|---|
| 1 | მიწის ნაკვეთის მდებარეობა დასახლებათა ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებში | ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა |
| 2 | მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემები (განცხადების რეგისტრაციის #) | N01.18.13.033.139 |
| 3 | მიწის ნაკვეთის სახეობა გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით | ------------------------------ |
| 4 | მითითება მიწის ნაკვეთის ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონაში მდებარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | არასასოფლო-სამეურნეო |
| 5 | მითითება მიწის ნაკვეთის კულტურული მემკვიდრეობის ან/და გარემოს დაცვის ზონაში მდებარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 13.05.2022 წლის N17/900 წერილი |
| 6 | საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მიწის ნაკვეთის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ | ------------------------------ |
| 7 | კანონმდებლობის შესაბამისად სხვა ინფორმაცია | ------------------------------ |

| | | | |
|---|---|---|---|
| განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველო | ა. კაცაძე | 15.06 2022წ. | გვ. №2 |

## მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

დამკვეთი/მენაშენე: შპს ,,გეო ენერჯი"
საპროექტო ობიექტი: ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმო
ობიექტის მისამართი: ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა

### მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობების მშენებლობის ძირითადი მოთხოვნები:

| | | |
|---|---|---|
| 1 | მითითება მიწის ნაკვეთის ზოგად ან/და კონკრეტულ ფუნქციურ ზონაში მდებარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | არ მდებარეობს კონკრეტულ ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონაში |
| 2 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 | ---------------------------------------- |
| 3 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 | ---------------------------------------- |
| 4 | მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 | ---------------------------------------- |
| 5 | მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა. | ---------------------------------------- |
| 6 | შენობა-ნაგებობების სავარაუდო ფუნქციური დანიშნულება | საწარმო |
| 7 | სხვა ფაქტორების გათვალისწინება: არსებულიშენობა-ნაგებობების სართულიანობა, გაბარიტები, დანგრევა, შენარჩუნება ან მათი სივრცითი-გეგმარებითი წყობის შეცვლა. | სამშენებლო დოკუმენტის შესაბამისად |
| 8 | მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის კეთილმოწყობა (მაგ. შემოღობვა, საბავშვო სათამაშო მოედნები, გამწვანება) | სამშენებლო დოკუმენტის შესაბამისად |
| 9 | სამშენებლო მოედნის მოწყობა | -უზრუნველყოფილი იქნეს მშენებლობის უსაფრთხოების წესები პროექტის მიხედვით |

| | | | |
|---|---|---|---|
| განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველო | ა. კაცაძე | 15.06 2022წ. | გვ. N3 |

PLLE TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY ... OFFICE

## მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

| |
|---|
| **დამკვეთი/მენაშენე:** შპს ,,გეო ენერჯი"<br>**საპროექტო ობიექტი:** ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმო<br>**ობიექტის მისამართი:** ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა |

| | | |
|---|---|---|
| 10 | ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური მომზადება; სეისმომედეგობა | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესაბამისად |
| 11 | ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა | ----------------------------------- |
| 12 | საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას არსებული შენობა-ნაგებობების: რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) დროს აზომვითი ნახაზები; | ------------------------------------------ |
| 13 | საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად სხვა ინფორმაცია/მოთხოვნები | დაცული იქნას:<br>-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 13 მაისის N17/900 წერილში ასახული მოთხოვნები;<br><br>-საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10.06.2022 წლის N5861/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები და პირობები;<br><br>მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 სტადიაზე წარმოდგენილი იქნას:<br><br>-საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;<br><br>-სახანძრო უსაფრთოხბის სისტემების მოწყობის პროექტი;<br><br>- აკრედიტაციის მქონე „A ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ მომზადებული სავალდებულო საექსპერტო დასკვნებს: საინჟინრო-გეოლოგიურ |

15.06.2022

LLE TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY OFFICE

| | | |
|---|---|---|
| | | კვლევაზე; კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემებზე, არქიტექტურულ ნაწილებზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ,,ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მოთხოვნებს;<br><br>-სამშენებლო დოკუმენტის შემუშავებისას დაცული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგლამენტების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნები.<br><br>**ინფორმაციისთვის:**<br>-მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პირველი სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არ ითვალისწინებს ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებას და სამშენებლო დოკუმენტის შეთანხმებამდე და მშენებლობის ნებართვის გაცემამდე წარმოებულ უნებართვო მშენებლობაზე გავრცელდება კანონმდებლობით დადგენილი საჯარიმო სანქციები. |